

פּוּבְּלִיקַצְיָה פֿאַר אַ פֿאַרשטאַנדן  
פֿאַר אַ פֿאַרשטאַנדן

# Cultural Studies and the Study of Popular Culture

John Storey

კუბასაძის – ყოველ სიმღერაშია ჩემი აქცენტი

# ხანტუხის ხვდავები და ჰოვანაძე ხანტუხის შენაწილი

ჯონ სთიხი



ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი — 2007

ნიგნი განკუთვნილია სოციალურ დისციპლინათა სტუდენტებისათვის და წარმოადგენს თანამედროვე პოპულარული კულტურის შესავალს თეორიებისა და მეთოდების სპექტრში. მასში წარმოდგენილია თანამედროვე კულტურულ კვლევათა განვითარების სრული სურათი. ნიგნი აგებულია ცალკეულ შემთხვევათა (case studies) შესწავლის საფუძველზე. მასში გაანალიზებულია შემთხვევათა ექვსი სახე: ტელევიზია, ბელეტრისტიკა, კინო, გაზეთები და ჟურნალები, პოპულარული მუსიკა და მოხმარება. ყოველი თავი კონცენტრირებულია ორი-სამი ძირითადი კონცეფციისა და თეორიის გარშემო. მაგალითად, ტელევიზიის ანალიზისას გამოიყენება სატელევიზიო დისკურსის სტუარტ ჰოლის კოდირება/დეკოდირების (encoding/decoding) ცნებები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, თუ როგორ წარმოადგენს ტელევიზია მასობრივი კულტურის იდეოლოგიას და მის კავშირს საზოგადოების ეკონომიკურ მდგომარეობასთან.

მთარგმნელი — ლელა გაჩეჩილაძე  
რედაქტორები — ნოდარ მანჩხაშვილი, თეო ხატიაშვილი  
დამკაბადონებელი — ქეთევან გოგავა

პირველი გამომცემელი Edinburgh University Press, 1996

უცხოური გამოცემის ყველა უფლებას განკარგავს John Storey, 1996, 2003

პირველი ქართული გამოცემა 2007

ყველა უფლება დაცულია. (დაუშვებელია ნიგნის რომელიმე ნაწილის გამოყენება გამომცემლის ნებართვის გარეშე. საავტორო უფლებების დარღვევა კანონით ისჯება.

ღამფინანსეპელი



© 2007 ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ilia Chavchavadze State University

ISBN 978-99940-0-295-5

# შინაახსი

წინასიტყვაობა .....	7
<b>1. კულტურის კვლევები და პოპულარული</b>	
<b>კულტურის შესწავლა.....</b>	9
შესავალი .....	9
კულტურის კვლევები და პოპულარული კულტურა .....	10
რამდენიმე სიტყვა ამ წიგნის შესახებ .....	16
<b>2. ტელევიზია.....</b>	19
სატელევიზიო დისკურსის კოდირება და დეკოდირება .....	19
სატელევიზიო საუბარი.....	29
ტელევიზია და „პოპულარული კულტურის იდეოლოგია“ ...	37
ტელევიზიის ორგვარი ეკონომიკა.....	45
<b>3. მხატვრული ლიტერატურა.....</b>	50
პოპულარული ტექსტების კითხვა.....	50
იდეოლოგია და სიმპტომატური კითხვა.....	51
აღქმის თეორია.....	56
კითხვითი ფორმაციები.....	65
ფემინიზმი და სასიყვარულო რომანის კითხვა.....	78
<b>4. კინო .....</b>	92
სტრუქტურალიზმი და კინო.....	92
ვიზუალური სიამოვნება და ფილმი .....	98
კულტურის კვლევები და კინო.....	101
<b>5. ჟურნალ-გაზეთები.....</b>	109
პოპულარული პრესა.....	109
ჟურნალები ქალებისა და გოგონებისათვის .....	117
ვიზუალური კულტურის აღქმა .....	128

6.	<b>მუსიკა</b> .....	135
	პოპმუსიკის პოლიტიკური ეკონომია .....	135
	ახალგაზრდობა და პოპმუსიკა.....	142
	სუბკულტურები, ეთნოგრაფია და სტრუქტურული შესატყვისები.....	145
	სიტყვები და მუსიკა: მარტივი სამეტყველო ცეკვის შექმნა.....	150
	პოლიტიკა და პოპმუსიკა.....	154
7.	<b>მოხმარება ყოველდღიურ ცხოვრებაში</b> .....	159
	მოხმარება და კულტურის კვლევები.....	159
	სუბკულტურული მოხმარება .....	163
	ფანების კულტურა და ტექსტის ბრაკონიერობა.....	170
	საყიდლებზე სიარული, როგორც პოპულარული კულტურა .....	180
8.	<b>გლობალიზაცია და პოპულარული კულტურა</b> .....	184
	გლობალიზაცია .....	184
	გლობალიზაცია, როგორც კულტურული ამერიკანიზაცია .....	186
	ჰეგემონია და გლობალიზაცია.....	197

# წინასიტყვაობა

მსურს ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ნებისთ თუ უნებლიეთ წვლილი შეიტანა ამ წიგნის დაწერაში, განსაკუთრებით — ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებსა და სტუდენტებს (ყოფილსა და ამჟამინდელს). განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუძღვნა ჯენი სთორის დახმარებისა და მხარდაჭერისათვის. დასასრულ, მადლობას ვუხდის ლუიზა ბარანსკის: ძალიან მეხმარებით თუნდაც მხოლოდ იმით, რომ ჩემ გვერდით დგახართ.

# 1

## ხაიხის ხეხეხი და ჰოხეხეხი ხაიხის შეხეხეხი

### შეხეხეხი

ამ ნიგნს ორი მიზანი აქვს: პირველი — გააცნოს სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მკითხველს თანამედროვე პოპულარული კულტურა გააცნოს; და მეორე — მკითხველს შესთავაზოს ბრიტანული კულტურის კვლევების განვითარების მოკლე ისტორია სხვადასხვა თეორიებისა და მეთოდების გათვალისწინებით. მე არ მიცდია შემემუშავებინა ამ სფეროს ზედმინევენიტი აღწერა. ამის ნაცვლად, ჩემი მიზანი იყო განსახილველად შემეკრიბა ის მიდგომები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თანამედროვე პოპულარული კულტურის შესწავლაში. იმედია, ნიგნი ნათელ წარმოდგენას შეუქმნის იმ სტუდენტებს, რომლებიც ამ სფეროს ეცნობიან, მათ კი, ვისთვისაც ნაცნობია კულტურის კვლევების პოლიტიკა და პროცედურები, შესთავაზებს კრიტიკულ მიმოხილვას.<sup>1</sup>



## ჯეცუხის ჯეცევი და ჰოჰედახედი ჯეცუხა

კულტურის კვლევები მეთოდებისა და თეორიებისგან შემდგარი მონო-ლითური სხეული არ არის. სტიუარტ ჰოლი (1992) მას ასე აღწერს:

კულტურის კვლევებს მრავალნაირი დისკურსი აქვს და ბევრი სხვადასხვა ისტორია. ის ფორმაციების ერთობლიობაა, საკუთარი გარემოებებითა და წარსულის მომენტებით. ის ბევრ განსხვავებულ ნაშრომს მოიცავს... ის ყოველთვის იყო არასტაბილურ ფორმაციათა ერთობლიობა... ყოველთვის ბევრი ტრაექტორია ჰქონდა; ბევრ ადამიანს ჰქონია და აქვს განსხვავებული თეორიული პოზიცია და ყველა მათგანი საკამათოა.

კულტურის კვლევები ყოველთვის წარმოშობდა აზრთა სხვადასხვაობას, იცვლებოდა ისტორიული და პოლიტიკური გარემოებების ცვლილებებთან ერთად და ყოველთვის შეუთანხმებლობით, კამათითა და უხეში ჩარევით ხასიათდებოდა. მაგალითად, სამოცდაათიანი წლების ბოლოს კულტურის კვლევებში ცენტრალური იყო კლასი, რომელიც პირველად დაირღვა ფემინისტების დაჟინებული მითითებით გენდერის მნიშვნელობის თაობაზე, მოგვიანებით კი — შავკანიანი სტუდენტების მიერ, რომელთა აზრითაც, მრავალ კულტურის კვლევათა ანალიზში „რასა“ უხილავი იყო. დღეს უკვე შეუძლებელია ვიფიქროთ კულტურის კვლევებსა და პოპულარულ კულტურაზე, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ, მაგალითად, ფემინიზმმა უდიდესი წვლილი შეიტანა პოპულარული კულტურის შესწავლის საქმეში. 70-იანი წლების დასაწყისში მათი კავშირი ნამდვილად არ იყო ასე აშკარა.

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია დავახარისხოთ პროგრამები, ჟურნალები, კონფერენციები და აკადემიური ასოციაციები, არ არსებობს უბრალო პასუხი კითხვაზე — რა არის ბრიტანული კულტურის კვლევები? საქმე ისაა, რომ უამრავი ბრიტანული კულტურის კვლევა ბრიტანული წარმოშობის კი არ არის, არამედ ფრანგული (ლუი ალთუსერი, როლან ბარტი, პიერ ბორდო, მიშელ დე სერტო, მიშელ ფუკო, ჟაკ ლაკანი), ავსტრიული (ზიგმუნდ ფროიდი), გერმანული (კარლ მარქსი), იტალიური (ანტონიო გრამში), რუსული (მიხაილ ბახტინი, ვალენტინ ვოლოსინოვი) ან

შვეიცარული (ფერდინანდ დე სოსიური) წარმომავლობისაა. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანულ კულტურის კვლევებს უფრო რიჩარდ ჰოგარტის, რაიმონდ უილიამსის, ე.ტ. თომპსონისა და სტიუარტ ჰოლის ნაშრომებს უკავშირებენ,<sup>2</sup> ბრიტანეთის გარეთ შექმნილი არაერთი ნაშრომის „მითვისება“ ასეთ პოზიციას საკმაოდ საეჭვოს ხდის.

კულტურის კვლევები აუცილებლად გულისხმობს თავად კულტურის განმარტებას. ამგვარად, ეს „დემოკრატიული“ პროექტია იმ თვალსაზრისით, რომ იმის შესწავლის ნაცვლად, რასაც მეთიუ არნოლდმა ერთხელ უწოდა „საუკეთესო იმისგან, რაც ოდესმე უფიქრიათ და უთქვამთ“ (Arnold 1998, F.R. Leavis 1998), კულტურის კვლევები შეისწავლის ყველაფერს, რაც კი ოდესმე უფიქრიათ და უთქვამთ (თუმცა სინამდვილეში, როგორც შემდგომში მოგახსენებთ, ძირითადი ძალისხმევა მაინც პოპულარული კულტურისკენ იყო მიმართული). მარტივად რომ ვთქვათ, კულტურა არის ჩვენი ბუნებრივი ცხოვრება (ჩვენი ბიოლოგიის ჩათვლით). ეს არის საერთო აზრები, რომელთაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვქმნით და ვანყდებით. კულტურა არ არის რაიმე არსებითი, გამოხატული განსაკუთრებული „ტექსტებით“ ( ანუ რაიმე ნივთი, სხეული თუ მოვლენა, რომელსაც შეგვიძლია რაიმე მნიშვნელობა მივანიჭოთ). ეს არის ჩვენს ყოფაში არსებული „ტექსტებისთვის“ მნიშვნელობების მინიჭების პროცესი.<sup>3</sup> მაშასადამე, კულტურა იქმნება ამ მნიშვნელობების წარმოების, ბრუნვისა და მოხმარების შედეგად. კულტურის გაზიარება ნიშნავს სამყაროს ინტერპრეტირებას, მისთვის აზრის მინიჭებას ერთმანეთის მსგავსი ხერხებით.

კულტურის წარმოდგენა საერთო მნიშვნელობების შექმნის პროცესად არ ნიშნავს იმას, რომ კულტურის კვლევები კულტურების ჰარმონიულობასა და ორგანულ მთლიანობას აღიარებს. პირიქით, კულტურის კვლევები გვიმტკიცებს, რომ „ტექსტები“, რომლებისგანაც იქმნება კულტურა, „მრავალაქცენტურიანია“ (Volosinov, 1973). ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი შეიძლება მრავალი განსხვავებული მნიშვნელობით შეიქმნას. ამის გამო სრულიად გარდაუვალი ხდება კონფლიქტი სამყაროსთვის მნიშვნელობის მინიჭებასა და ამა თუ იმ მნიშვნელობის „სწორად“ აღიარებასთან დაკავშირებით. კულტურის კვლევების ძირეული ინტერესის საგანიც სწორედ ეს კონფლიქტია — ურთიერთობა კულტურასა და ძალაუფლებას შორის. იმის შესახებ, თუ როგორ განიხილავს კულტურის კვლევები კულტურისა და ძალაუფლების ურთიერთობის საკითხებს,

ყველაზე ხშირად ანტონიო გრამში და მიშელ ფუკო მსჯელობენ თავიანთ ნაშრომებში. როგორც ბრიტანული კულტურის კვლევების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომში აღნიშნა სტიუარტ ჰოლმა, „ამ სფეროში დღეს მიმდინარე ანალიტიკური კვლევების უმეტესობა თავის არსებობას ფუკოსა და გრამშის უნდა უმადლოდეს“ (Hall, 1996). ჰოლმა ეს სიტყვები 1980 წელს დანერა. მას შემდეგ კულტურის კვლევებმა ფემინიზმის, პოსტსტრუქტურალიზმის, პოსტკოლონიური თეორიის, ფსიქონალზის, პოსტმოდერნიზმისა და სხვა თეორიების გავლენა განიცადა (და თავადაც მოახდინა მათზე გავლენა), მაგრამ გრამშისა და ფუკოს ნაშრომები დღემდე მაინც ფუნდამენტურ ნაშრომებად ითვლება დიდ ბრიტანეთში.

გრამშის „ჰეგემონიის“ კონცეფციის (Gramsci, 1971) შეღწევამ სამოცდაათიანი წლების დასაწყისის ბრიტანულ კულტურის კვლევებში პოპულარული კულტურის ახლებური გააზრება გამოიწვია (Storey 2001). ეს ორი გზით მოხდა. პირველ რიგში გაჩნდა ახალი აღქმა პოლიტიკისა პოპულარულ კულტურასთან მიმართებაში; პოპულარული კულტურა უკვე აღიქმებოდა, როგორც ჰეგემონიის წარმოებისა და კვლავწარმოების ცენტრალური ადგილი. განვითარებული კაპიტალისტური საზოგადოებები არათანაბრადაა დაყოფილი, მაგალითად, ეთნიკური, გენდერული, ასაკობრივი, სქესობრივი და სოციალურ-კლასობრივი კუთვნილების მიხედვით. კულტურის კვლევები გვიჩვენებს, რომ პოპულარული კულტურა არის ერთ-ერთი ძირითადი სფერო, სადაც ეს წარმონაქმები ჩნდება და არსებობისთვის იბრძვის. ასე რომ, პოპულარული კულტურა დომინანტური და დაქვემდებარებული ჯგუფების ინტერესთა ბრძოლისა და დავის ადგილია. ჰეგემონიის სტრუქტურაზე მუშაობისას ჰოლი იყენებს „არტიკულაციის“ კონცეფციას (Hall, 1982, 1996)<sup>4</sup> იდეოლოგიური ბრძოლის ამ პროცესების ასახსნელად. ჰოლი ტერმინს „არტიკულაცია“ ორმაგი აზრით იყენებს: პირველია ის, რომ მნიშვნელობა უნდა გამოიხატოს („ტექსტმა“ მნიშვნელობა უნდა შეიძინოს); მეორეა ის, რომ მნიშვნელობა ყოველთვის გამოხატულია კონკრეტულ კონტექსტში (თუ სხვა კონტექსტს დავუკავშირებთ, „ტექსტი“ სულ სხვა მნიშვნელობას შეიძენს). მაშასადამე, „ტექსტი“ არის არა მნიშვნელობის წყარო, არამედ ადგილი, სადაც შეიძლება შეიქმნას მნიშვნელობის — ცვალებადი მნიშვნელობ(ებ)ის — არტიკულაცია. იმის გამო, რომ „ტექსტები“ „მრავალაქცენტურიანია“, ისინი შეიძლება

სხვადასხვა ადამიანმა სხვადასხვა „აქცენტებით“, სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა მიზნით გამოხატოს. ამგვარად, საზოგადოდ, კულტურის მნიშვნელობა და სფერო მუდმივი კონფლიქტებისა და დავების ადგილია, სადაც შეიძლება ჰეგემონიის მოპოვება და დაკარგვა (Hall 1998).

ჰეგემონიის კონცეფციის შეღწევამ ბრიტანულ კულტურის კვლევებში გამოიწვია, აგრეთვე, თავად პოპულარული კულტურის კონცეფციის ახლებური გააზრება (Hall 1996a, Storey 2001). ეს ახლებური მიდგომა გულისხმობდა პოპულარული კულტურის შესახებ ორი, მანამდე გაბატონებული და ურთიერთდაპირისპირებული თვალსაზრისის აქტიურ დაახლოებას. პირველის თანახმად, პოპულარული კულტურა კაპიტალისტური კულტურის ინდუსტრიის მიერაა შექმნილი; ესაა კულტურა, რომელიც ემსახურება მოგებასა და იდეოლოგიურ მართვას (მაგალითად, ფრანკფურტის სკოლა, სტრუქტურალიზმი, პოსტსტრუქტურალიზმის ზოგიერთი მიმდინარეობა, პოლიტიკონომია). ეს პოპულარული კულტურა არის „სტრუქტურა“. მეორე თვალსაზრისით, პოპულარული კულტურა დაბალი ფენებიდან მომდინარე კულტურაა: „ავთენტიკური“ ხალხი, მუშათა კლასი, სუბკულტურა — ხალხის „ხმა“ (მაგალითად, კულტურალიზმის ზოგიერთი მიმდინარეობა, სოციალური ისტორია და „ისტორია ქვემოდან“). ეს პოპულარული კულტურა არის „ქმედება“. თუმცა, კულტურის კვლევების თვალსაზრისით, პოპულარული კულტურა არც „ავთენტიკური“ ხალხია, არც მუშათა კლასი, არც სუბკულტურა და არც კაპიტალისტურ კულტურულ ინდუსტრიაზე დაფუძნებული კულტურა, ის უფრო „კომპრომიზული ნონასნორობაა“ (Gramsci 1971). ის გულისხმობს „ზედასაც“ და „ქვედასაც“, „კომერციულსაც“ და „ავთენტიკურსაც“, „წინააღმდეგობასაც“ და „თანამშრომლობასაც“, „სტრუქტურასაც“ და „ქმედებასაც“. ამიტომ, თუმცა კულტურის კვლევების ძირითადი ამოცანაა იმის შესწავლა, თუ როგორ ქმნის ხალხი კულტურას იმ ნივთების დახმარებით და იმ ნივთებთან ერთად, რომლებიც სწორედ კაპიტალისტური ინდუსტრიის პროდუქტია, ჰეგემონიის კონცეფციაზე მუშაობა ყოველთვის მოითხოვს იმ საარსებო პირობების მუდმივ გათვალისწინებას, რომლებიც ამ ნივთების მოხმარებას ერთდროულად ხელს უწყობს და ზღუდავს კიდევ. ეს თვალსაზრისი გამოითქმებოდა კულტურის კვლევების ისტორიის ყოველ ათწლეულში. „გრამშის მოთხოვნის“ თანახმად, რომელიც გრამშიმდე, (Storey 2001), გრამშისთან ერთად და მის შემდეგაც არაერთხელ გამოუთქვამს მარქსს

(Marx 1977), ჩვენ ვქმნით კულტურას და კულტურა გვქმნის ჩვენ; არსებობს „ქმედება“ და არსებობს სტრუქტურა, საკმარისი არ არის ვალიაროთ მხოლოდ ქმედება; არც ძალაუფლების სტრუქტურ(ებ)ის გამოცალკევებაა საკმარისი. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს დიალექტიკური კავშირი ქმედებასა და სტრუქტურას, წარმოებასა და მოხმარებას შორის. მომხმარებელი, რომელიც კონკრეტულ სოციალურ კონტექსტშია მოთავსებული, ყოველთვის უპირისპირდება „ტექსტს“, როგორც წარმოების კონკრეტული პირობების შედეგს. მაგრამ, ზუსტად ასევე, „ტექსტს“ უპირისპირდება მომხმარებელი, რომელიც მოთავსებულია კონკრეტულ სოციალურ კონტექსტში და რომელიც კულტურად აღიქვამს და „ანარმოებს“ სხვადასხვა მნიშვნელობებს, რომლებიც შეიძლება „ტექსტს“ მიენიჭოს; მნიშვნელობებს, რომლებსაც ვერ განსაზღვრავ მხოლოდ „ტექსტის“ მატერიალურობით ან მისი წარმოების საშუალებებით (Hall 1980, Morley 1980, Du Gay და ა.შ. 1997). ჰეგემონიის კონცეფციაზე მუშაობას ზოგჯერ მივყავართ მშრომელი ადამიანების კონკრეტული კულტურების აღიარებამდე, მაგრამ ასეთი აღიარება ყოველთვის უნდა მოხდეს იმის სრული გაცნობიერებით, რომ ის, რაც ერთ კონტექსტში „წინააღმდეგობაა“, მეორეში შეიძლება „თანამშრომლობა“ იყოს (Storey 1999, 2002).

გრამში ძირითად ყურადღებას წარმოებასა და მოხმარებას შორის ურთიერთობებს აქცევს, ფუკო კი იმ აზრისაა, რომ შრომა რეპრეზენტაციზა და ფუძნებული, განსაკუთრებით — რეპრეზენტაციის „პროდუქტიულ“ ბუნებაზე (Hall 1997). კულტურის კვლევებს რეპრეზენტაციისადმი კონსტრუქციონისტული პოზიცია აქვს (Hall 1997). იმის გამო, რომ საგანს არ შეუძლია საკუთარი მნიშვნელობა თავადვე განსაზღვროს, ეს მნიშვნელობა კულტურის მეშვეობით უნდა იყოს „რეპრეზენტირებული“. ასე რომ, რეპრეზენტაცია (აღწერის, კონცეპტუალიზაციისა და ჩანაცვლების პროცესების მეშვეობით) ქმნის იმის მნიშვნელობას, რასაც წამოგვიდგენს. სამყარო ნამდვილად რეპრეზენტაციაზე მაღლა დგას, მაგრამ მხოლოდ რეპრეზენტაციით შეიძლება შეიძინოს მნიშვნელობა. მამასადამე, რეპრეზენტაცია არის ქმედება, რომლითაც მნიშვნელობას ვანიჭებთ რეალობას და, ასევე, ერთმანეთს ვუზიარებთ და ვაცნობთ საკუთარი თავის, ერთმანეთისა და სამყაროს მნიშვნელობას.

თუ მნიშვნელობა მყარი და უცვლელი კი არ არის, არამედ კულტურაში ბუნების რეპრეზენტაციის ამა თუ იმ კონკრეტული ხერხის გამოყენების

შედეგია, მაშინ არანაირი მნიშვნელობა არ იქნება საბოლოო და ჭეშმარიტი. ნებისმიერი მნიშვნელობა იქნება მხოლოდ კონტექსტზე და გარემოებებზე დამოკიდებული. უფრო მეტიც, ის ყოველთვის დაექვემდებარება ძალაუფლების ცვალებად ზემოქმედებას. ფუკოს თვალსაზრისით (როგორც ის ბრიტანულ კულტურის კვლევებშია წარმოდგენილი), რეპრეზენტაცია ყოველთვის ხდება დისკურსში, რომელიც აწესრიგებს იმას, თუ რისი თქმა შეიძლება ან არ შეიძლება კონკრეტული „ტექსტის“ შესახებ. კიდევ ერთხელ ვიტყვით, ამით იმას კი არ უარვყოფთ, რომ სამყარო მთელი თავისი მატერიალურობით არსებობს, არამედ ვამტკიცებთ იმას, რომ სამყარო თავის მნიშვნელობას დისკურსში იძენს (Foucault 1972). მნიშვნელობა იქმნება დისკურსში და, უფრო მეტიც, სწორედ დისკურსში „ძალაუფლება წარმოშობს ცოდნას... ძალაუფლება და ცოდნა უშუალოდ განსაზღვრავენ ერთმანეთს... არ არსებობს ძალაუფლებრივი ურთიერთობა ცოდნის სფეროს შესაბამისი აგებულების გარეშე, და არც ისეთი ცოდნა არსებობს, რომელიც წინასწარ არ ითხოვს და იმავდროულად აყალიბებს კიდევ ძალისმიერ ურთიერთობებს“ (Foucault 1979). სამყაროს შეცნობის დომინანტური გზა, რომელიც ამ სამყაროს მნიშვნელობას ანიჭებს, შექმნილია ძალაუფლების მფლობელთა მიერ, იმ მიზნით, რომ სამყაროს შეცნობის მათეული ხერხები მთელ მსოფლიოში გავრცელდეს დისკურსულად და შექმნას „ჭეშმარიტების რეჟიმები“ (Foucault 2001), რაც მათ ჩვენი აზროვნებისა და ქმედებების მართვის საშუალებას აძლევს; ჩვენ კი გვთავაზობს „სუბიექტის პოზიციებს“, საიდანაც შეიძლება შეიქმნას მნიშვნელობა და წარიმართოს ქმედება (Foucault 2001b).\* კულტურის კვლევები (ფუკოს მიხედვით) ცდილობს დაადგინოს, თუ „როგორ მართავენ მამაკაცები (და ქალები) საკუთარ თავსა და სხვებს ჭეშმარიტების შექმნით (ცოდნის იმ სფეროების დანესებით, რომელშიც ჭეშმარიტი და მცდარი ერთხელ და სამუდამოდაა განსაზღვრული)“ (Foucault 2001a: 230). ასე რომ, ძალაუფლება, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული რეპრეზენტაციასთან, არის არა ნეგატიური, არამედ პროდუქტიული ძალა: „ერთხელ

\* ტერმინს „სუბიექტი“, რომელიც ლათინური subjectus-დან მომდინარეობს და თავის მხრივ „ქვემდებარეს“, „დაქვემდებარებულს“ ნიშნავს, ფუკო ხშირად სწორედ ამ ორგვარი დატვირთვით ხმარობს, ანუ ერთის მხრივ, როგორც „სუბიექტი“, „პიროვნება“ და მეორე მხრივ, როგორც „ქვეშევრდომი“. ამით ხაზი ესმება სუბიექტის კონსტრუირების პროცესს, რაც ინდივიდუალიზაციისა და სოციალიზაციის გადაკვეთაზე მიიღება — რედ. შენიშვნა.

და სამუდამოდ უნდა შევწყვიტოთ ძალაუფლების აღწერა უარყოფითი ტერმინებით: „ნართმევა“, „რეპრესიები“, „ცენზურა“, „შენიღბვა“, „დამალვა“. ფაქტობრივად, ძალაუფლება მანარმოებელია; ის „ანარმოებს“ რეალობას; ის ქმნის ჭეშმარიტების ობიექტების მნიშვნელობებს და ჭეშმარიტების რიტუალებს“ (Foucault 1979). ეს რეპრეზენტაციას საკვანძო კონცეფციად აქცევს კულტურის კვლევებში, რომელიც ფოკუსირებულია კულტურასა და ძალაუფლებას შორის ურთიერთობაზე.

### ხამენიმე სიტყვა ამ წიგნის შესახებ

ჩემი მიზანია, როგორც უკვე მოგახსენეთ, წარმოგიდგინოთ სხვადასხვა თეორიები და მეთოდები, რომლებიც კულტურის კვლევებში გამოიყენება თანამედროვე პოპულარული კულტურის შესასწავლად. ვცდილობდი ამ თეორიებისა და მეთოდების კრიტიკა მინიმუმადე დამეყვანა. ვცადე თავი ამერიდებინა მიკერძოებულობისთვის, როცა, იმის ნაცვლად, რომ ახსნას თეორია ან მეთოდი, ავტორი გრძლად და გაურკვეველად საუბრობს იმის შესახებ, თუ როგორ გადაწყვეტდა ამა თუ იმ პრობლემას ან როგორ გააკეთებდა რაიმეს განსხვავებულად. რა თქმა უნდა, შემძლო მეც ასე მოვეცეულიყავი, მაგრამ გადავწყვიტე, რომ ეს თეორიების გაცნობის საქმეს ავნებდა. მიხდოდა, რომ მკითხველს ამ წიგნით შეეძლო სხვადასხვა მნიშვნელოვანი თეორიისა და მეთოდის შესახებ, და არა ის, თუ რას ვფიქრობ მე მათზე. შეიძლება დროდადრო ნათლად გამოჩნდეს, რასაც ვფიქრობ, მაგრამ ეს არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მკითხველმა ამ წიგნიდან შეიძლება მიიღოს. ამავე მიზეზით, მე მოვიხმე უფრო მეტი ციტატა, ვიდრე „სერიოზულ“ წიგნს ეკადრება. მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ასეთი წიგნი თავის მიზანს უკეთ აღწევს, როდესაც მკითხველს განსახილველ თეორიებსა და თეორეტიკოსებს გონივრულად სთავაზობს.

ისიც ვიცი, რომ მოცემული სფერო გავამარტივე. შერჩევა ყოველთვის ნიშნავს რალაციის გამორიცხვას; ვიცი, რომ ჩემს არჩევანს ყველა კეთილგანწყობით არ მიიღებს. არსებობს სხვა მნიშვნელოვანი თეორიები და მეთოდები, რომლებიც აქ არ განმიხილავს. ჩემი პოზიციის დასაცავად მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ასეთი ზომის წიგნში შეუძლებელია ყველა იმ თეორიისა და მეთოდის განხილვა, რომელმაც გავლენა იქონია კულტურის